საქართველოს სტატისტიკის ეროვნული
სამსახურის

თანამშრომელთა

ქცევის კოდექსი

პრეამბულა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (შემდგომში - ,,საქსტატი“) აცნობიერებს, რომ მისი თანამშრომლის ქცევა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს წარმოადგენს საქსტატის ეფექტური მუშაობის და ავტორიტეტის განმტკიცების მნიშვნელოვან წინაპირობას.
საქსტატის საქმიანობის მიზანს წარმოადგენს საერთაშორისოდ აღიარებული ძირითადი პრინციპების საფუძველზე ქვეყანაში დამოუკიდებელი, ობიექტური და სანდო სტატისტიკის წარმოების უზრუნველყოფა. საქსტატი თავის საქმიანობაში ეყრდნობა საქართველოს კონსტიტუციას, ,,ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” საქართველოს კანონს, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს, პროფესიული დამოუკიდებლობის, ობიექტურობის, სანდოობის, სტატისტიკური მონაცემების კონფიდენციალურობისა და ეფექტიანობის პრინციპებს.

კოდექსის მიზანი

წინამდებარე ქცევის კოდექსი განსაზღვრავს თანამშრომლის ქცევის წესებს და პროფესიული ეთიკის ნორმებს. ქცევის კოდექსის მიზანია, სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული პასუხისმგებლობის გათვალისწინებით დაადგინოს თანამშრომელთა ქცევის წესები, ხელი შეუწყოს თანამშრომლებში პროფესიული ღირსების განცდის დამკვიდრებას და პროფესიული საქმიანობისადმი პატივისცემას.
წინამდებარე დოკუმენტი საჯაროა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის.

კოდექსის მოქმედების სფერო

კოდექსის მოქმედება თანაბრად ვრცელდება საქსტატის ყველა თანამშრომელზე. კოდექსის დებულებები სრულად ვრცელდება თანამშრომლის ისეთი ქცევის მიმართ, რომლებიც კოდექსში არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს ამ კოდექსის პრინციპებიდან.

მორალური სტანდარტები

თანამშრომელს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ საკუთარი სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, მას საზოგადოების წინაშე გააჩნია პროფესიული ვალდებულებები. თანამშრომელი უნდა მოქმედებდეს პატიოსნებისა და პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტებით. იგი თავის საქმიანობაში უნდა ხელმძღვანელობდეს კულტურის, თავაზიანობის, ღირსების, ურთიერთპატივისცემის, ნდობის, მიუკერძოებლობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის, პროფესიული დამოუკიდებლობის, სანდოობის, სტატისტიკური მონაცემების კონფიდენციალურობისა და ეფექტიანობის პრინციპებით და საყოველთაოდ აღიარებული ნორმებით. თანამშრომელი ხელს უნდა უწყობდეს სამსახურის მიმართ საზოგადოების რწმენისა და ნდობის განმტკიცებასა და ამაღლებას.

თანამშრომელთა ქცევის ზოგადი წესები

თანამშრომელი პატივს უნდა სცემდეს და იცავდეს საქართველოს კონსტიტუციით, კანონმდებლობით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებულ პრინციპებს. სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვებისას, რესპონდენტებთან/მომხმარებლებთან და ზოგადად, საზოგადოებასთან ურთიერთობისას თანამშრომელი პატივისცემით უნდა მოეპყროს თანამოსაუბრეს და თავაზიანად გამოხატოს საკუთარი მოსაზრება. თანამშრომელი ვალდებულია პატივი სცეს სხვა პირის სიტყვის, აზრისა და

გამოხატვის თავისუფლებას. დაუშვებელია ისეთი შეხედულებების გამოხატვა, რომელიც მიზნად ისახავს პირის შეზღუდვას ან შეურაცხყოფის მიყენებას რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური კუთვნილების, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის ნიშნით.

სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვებისას, რესპონდენტებთან/მომხმარებლებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობისას კონფლიქტური სიტუაციის შექმნის შემთხვევაში, თანამშრომელი ვალდებულია შეინარჩუნოს წონასწორობა და არ გააღვივოს კონფლიქტი. სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას თანამშრომელი ვალდებულია დარწმუნდეს, რომ ფიზიკური/იურიდიული პირი ან ადმინისტრაციული ორგანო აცნობიერებს სტატისტიკური მონაცემების მნიშვნელობასა და როლს ქვეყნის განვითარებისათვის და სწორად აღიქვამს იმ პროცედურებს, რომლებსაც მოიცავს სტატისტიკური საქმიანობა.

სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვებისას, რესპონდენტებთან/მომხმარებლებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობისას თანამშრომლის ქცევა უნდა იწვევდეს კომპეტენტურობის, სანდოობისა და სერიოზულობის განცდას, რაც გამოიწვევს მათში ნდობის ამაღლებას და შემდგომი თანამშრომლობის სურვილს.

ეფექტურობა და პროფესიონალიზმი

თანამშრომელი ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები შეასრულოს პასუხისმგებლობითა და პროფესიონალიზმის მაღალი ხარისხით და იხელმძღვანელოს ეფექტიანობის პრინციპით.

სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება

თანამშრომელი ვალდებულია მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება გამოიყენოს მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად.

დაუშვებელია:

ა) ნებისმიერ პირზე უკანონო ზეწოლა სტატისტიკური მონაცემების მიღების მიზნით;

ბ) სტატისტიკური მონაცემების მოპოვებისას, რესპონდენტებთან/მომხმარებლებთან და ზოგადად, საზოგადოებასთან ურთიერთობისას ხმამაღლა საუბარი ან შეუფერებელი სიტყვებისა და ჟარგონების გამოყენება;

გ) ნებისმიერი პირისგან მატერიალური სახის წახალისების მიღება;

დ) სამუშაო დროისა და მასზე გადაცემული ქონების გამოყენება არასამსახურებრივი მიზნებისათვის;

ე) არასამსახურებრივი მიზნებისათვის სამსახურებრივი მოწმობის გამოყენება და/ან მისი სხვა პირისთვის გადაცემა.

კოლეგებთან ურთიერთობა

კოლეგებთან ურთიერთობისას თანამშრომელი უნდა ხელმძღვანელობდეს შემდეგი პრინციპებით:

ა) ხელს უნდა უწყობდეს კოლეგებს შორის ურთიერთნდობის დამკვიდრებას და თავს უნდა არიდებდეს პირადი თუ სხვა სახის კონფლიქტების წარმოშობას ან გაღვივებას;

ბ) საკუთარ გამოცდილებას უნდა უზიარებდეს იმ კოლეგებს, რომელთა კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება ამას საჭიროებს;

გ) არ უნდა ითხოვდეს კოლეგისაგან ისეთი მომსახურების გაწევას, რომელიც გაართულებს მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას;

დ) წინასწარ განზრახულად არ უნდა შეიყვანოს კოლეგა შეცდომაში;

ე) ტაქტიანად უნდა მიუთითებდეს კოლეგას, მის მიერ დაშვებულ შეცდომასა და ხარვეზებზე;

ვ) უნდა ითვალისწინებდეს პროფესიული სოლიდარობის და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნისათვის აუცილებელ სხვა პრინციპებსა და ნორმებს;
ზ) დაუშვებელია კოლეგასთან ურთიერთობისას ხმამაღლა საუბარი ან შეუფერებელი სიტყვებისა და ჟარგონების გამოყენება.

კონფიდენციალური ინფორმაცია
საქსტატის სისტემაში მომუშავე ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას სტატისტიკურ მონაცემთა კონფიდენციალურობა. თანამშრომელს ეკრძალება კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების გახმაურება, გამოიყენება და/ან გავრცელება, მათ შორის, პირადი თუ აკადემიური, სამეცნიერო და სხვა საქმიანობის მიზნით.

თანამშრომლისათვის შეუფერებელი ქცევა
დაუშვებელია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ალკოჰოლური თუ სხვა ძლიერმოქმედი ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა.
დაუშვებელია საქსტატის ცენტრალურ აპარატსა და მისი ტერიტორიული ორგანოების შენობებში ალკოჰოლური სასმელის მიღება, გარდა ოფიციალური ღონისძიებებისა.
თანამშრომლის ჩაცმულობა უნდა იყოს საქმიანი სტილის.
თანამშრომელი ვალდებულია თავი შეიკავოს ნებისმიერი ქმედების განხორციელებისაგან, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს მისი პროფესიული დამოუკიდებლობა და შელახოს სამსახურის იმიჯი.